შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ მაია ლაგვილავას

ქალბატონო მაია,

მოგახსენებთ, რომ "ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს" ეგიდით პროექტის - „Promoting Inclusion of People with Mental Health Problems by Advancing Reform Agenda" ფარგლებში, 2018 წლის 18-25 ივნისს ვგეგმავთ ვიზიტს იტალიაში, რომელის მიზანია საქართველოს დელეგაციისათვის ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში იტალიაში ჩატარებული დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმის გამოცდილების გაზიარება.

18-20 ივნისს ჯადაცვის პოლიტიკის მიმართულებით შეხვედრები გაიმართება ქ. რომში, ხოლო 21-23 ივნისს ქ. ტრიესტეში ტარდება კონფერენცია „დემოკრატია და საზოგადოების ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა". ღონისძიება ეძღვნება იტალიაში ფ/ჯ სექტორში ჩატარებულ დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმას.

როგორც თქვენთვის ცნობილია, სწორედ ქ. ტრიესტეში დაიწყო იტალიის ფ/ჯ სისტემის რეფორმა, რომელიც მსოფლიოში „ტრიესტეს ექსპერიმენტით" გახდა ცნობილი. ღონისძიება ტარდება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით და მიეძღვნება ფ/ჯ პოლიტიკასა და მასთან დაკავშირებულ ინტერვენციულ ღონისძიებებს.

თქვენი მონაწილეობა ამ ვიზიტში ძალიან მნიშვნელოვანია; იმედია გამონახავთ დროს და შეძლებთ შემოუერთდეთ დელეგაციას, რომლის შემადგენლობაშიც წარმოდგენილი იქნებიან აგრეთვე:

1. აკაკი ზოიძე - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, დელეგაციის ხელმძღვანელი;
2. დიმიტრი ხუნდაძე - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
3. ლევან კობერიძე - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;
4. ელენე ჟოჟოლაძე - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მთავარი სპეციალისტი, კომიტეტის აპარატის ფ/ჯ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი;
5. ირმა ხაბაზი - ღია საზოგადოების ფონდის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამის მენეჯერი;

6. ქეთი ხუციშვილი - ღია საზოგადოების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი.

გაცნობებთ, რომ ფონდის მიერ დაფინანსებულ იქნება მგზავრობისა და აკომოდაციის ხარჯები.

პატივისცემით,

ქეთი ხუციშვილი

აღმასრულებელი დირექტორი